ლიდერი კარგავს ქულებს

ცდკა _ “დინამო” (თბილისი).

ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი გუნდის შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სტადიონი გაივსო ათიათასობით მაყურებლით. ორივე გუნდმა გამოამჟღავნა შესანიშნავი ტექნიკა და კარგი ფიზიკური მომზადება.

შეხვედრა თბილისელთა იერიშებით დაიწყო. მოიგერიეს რა სტუმართა პირველი იერიშები, არმიელი ფეხბურთელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მალე კოვერზნევმა გახსნა ანგარიში. შესვენებამდე 10 წუთით ადრე თბილისელმა ღოღობერიძემ საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ ეს ანგარიში მალე შეიცვალა. ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე მოსკოველებმა ისარგებლეს “დინამოს” დაცვის შეცდომით და მეორე ბურთი გაიტანეს.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელები ძლიერ ცდილობდნენ ანგარიშის შეცვლას, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. მოსკოველმა ფეხბურთელებმა თბილისელთა კარში გაიტანეს კიდევ ერთი ბურთი და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით _ 3:1.

ოსტატურად ჩაატარა შეხვედრა თბილისელთა მეკარემ მარღანიამ, რომელმაც რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო.

მიუხედავად დამარცხებისა თბილისის დინამოელები ინარჩუნებენ ლიდერობას. მათ 17 თამაშის შემდეგ მოგროვილი აქვთ 23 ქულა.

“ლელო”, 30 ივლისი 1950 წ.